მარცხი “შახტიორთან”

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 28 სექტემბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 3:1 (1:0).

“შახტიორი”: დეგტიარიოვი, იარემჩენკო, ზვიაგინცევი, კონდრატიევი, გორბუნოვი, დუდინსკი, საფონოვი, სტარუხინი, როგოვსკი, რეზნიკი (პიანიხი), ვანკევიჩი (სოკოლოვსკი).

“დინამო”: გოგია (იმნაძე), ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე (ესებუა), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

ამ მატჩის წინ შექმნილი სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდის წინაშე რთულ მიზნებს სახავდა. “შახტიორს” საპრიზო ადგილზე გასვლის რეალური შესაძლებლობა აქვს და ძალას არ ზოგავს, რათა გაიმეოროს ის მიღწევა, რომელიც მას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოპოვებული თავისი არსებობის ისტორიაში (1951 წელი, III ადგილი). თბილისელების ამოცანა ამ ეტაპზე გაცილებით უფრო მოკრძალებულია და გამოიხატება იმაში, რომ შეინარჩუნოს ადგილი ცხრილის პირველ ათეულში, არ დაეშვას ეგრეთ წოდებულ სახიფათო ზონაში.

უპირატესობას თავდაპირველად მასპინძლები ფლობდნენ. უკვე მე–2 წუთზე გოგიას მოუხდა გორბუნოვის ძლიერი დარტყმის მოგერიება, შემდეგ როგოვსკის მიერ მოწოდებული ბურთი თავით დაარტყა და მიზანს ააცდინა სტარუხინმა, მერე კი სახიფათო მომენტში გუნდი ებრალიძემ იხსნა.

შუა ტაიმში დინამოელებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს, რომლებსაც შედეგი არ მოჰყოლია, 30–ე წუთზე კი “შახტიორმა” გაითამაშა კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა საფონოვმა.

შესვენების შემდეგ დაშავებული გოგია იმნაძემ შეცვალა, განახლდა თუ არა თამაში, ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ყიფიანი და ანგარიშიც გათანაბრდა, მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს მატჩის ხსნა, დონეცკელებმა გააძლიერეს იერიშები, კარგად ითამაშა როგოვსკიმ, რომელმაც ორჯერ აიძულა დინამოელთა ახალგაზრდა მეკარე ბადიდან გამოეტანა ბურთი.

შეხვედრის დასასრულს, 86–ე წუთზე თბილისელებს მიეცათ ანგარიშში სხვაობის შემცირების რეალური შესაძლებლობა, როცა “შახტიორის” კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ყიფიანის მიერ დარტყმული ბურთი ასცდა კარს. თბილისის “დინამომ” ზედიზედ მესამედ წააგო და სერიოზულად გაიუარესა მდგომარეობა ჩემპიონატში.

“ლელო”, 30 სექტემბერი, 1975 წ.